საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/158 " 18 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

კ. კოპალიანის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4[1] პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, კონსტანტინე კოპალიანი 2020 წლის 1 დეკემბრიდან გამწესდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა
კონსტანტინე კოპალიანის თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისის №1/89 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე. მათ შორის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის 4 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 30 კანდიდატი.

2020 წლის 24 ივლისიდან 21 აგვისტომდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის კონსტანტინე კოპალიანზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[2] მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 24 აგვისტოს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

კონსტანტინე კოპალიანს აქვს სპეციალობით მუშაობის 11-წლიანი გამოცდილება. იგი 2008-2019 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხდომის მდივნისა და მოსამართლის თანაშემწის თანამდებობებზე.

კონსტანტინე კოპალიანი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-14 ჯგუფის კურსდამთავრებულია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით კონსტანტინე კოპალიანმა წარმატებით გადალახა სრული სასწავლო კურსის ყველა ეტაპი. იყო დისციპლინირებული მსმენელი, იცავდა სკოლის წესდებითა და შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებს.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ კონსტანტინე კოპალიანს გაესაუბრნენ 12 ოქტომბერს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2020 წლის 5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15-მა წევრმა კანდიდატი კონსტანტინე კოპალიანი შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

კონსტანტინე კოპალიანის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა თხუთმეტივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ კონსტანტინე კოპალიანის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1281 ქულა, რაც წარმოადგენს ქულათა მაქსიმალური შესაძლებელი რაოდენობის 85.4%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2020 წლის 18 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის მე-3 ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 14-მა წევრმა მიიღო, კონსტანტინე კოპალიანმა მოიპოვა 11 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 22 კანდიდატი, მათგან 6 მოქმედი მოსამართლე, 8 ყოფილი მოსამართლე და 8 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბარამიძე ია - 0 ხმა
2. ბარდაველიძე ლევან - 0 ხმა
3. გიორგაშვილი სანდრო - 0 ხმა
4. გიორგაძე ნინო - 0 ხმა
5. გოგალაძე ირმა - 0 ხმა
6. დარახველიძე გიორგი - 0 ხმა
7. თხელიძე ქეთევან - 0 ხმა
8. კაკაურიძე შალვა - 0 ხმა
9. კოპალიანი კონსტანტინე - 11 ხმა
10. ლობჟანიძე გიორგი - 0 ხმა
11. მაისურაძე მადონა - 1 ხმა
12. ნადოი რეზო - 0 ხმა
13. ნარიმანიშვილი დავით - 0 ხმა
14. ნაჭყებია ნინო - 0 ხმა
15. უბილავა გიზო - 0 ხმა
16. ფუხაშვილი მორის - 0 ხმა
17. შკუბულიანი ლელა - 0 ხმა
18. შოშიაშვილი მაია - 0 ხმა
19. ჩიქოვანი გვანცა - 0 ხმა
20. ხარჩილავა ხათუნა - 0 ხმა
21. ჯვარშეიშვილი მაია - 1 ხმა
22. ჯინჯოლია მიხეილ - 1 ხმა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - კონსტანტინე კოპალიანის კეთილსინდისიერების (საბჭოს ყველა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის, სამართლის ნორმების ცოდნის, სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის,) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 21 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა კონსტანტინე კოპალიანი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი